საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოტანიკოსთა საზოგადოება

ბოტანიკოსთა საზოგადოება საქართველოსი, რესპუბლიკური საზოგადოება საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან. დაარსდა 1958. აერთიანებს ბოტან. დარგში მომუშავე 400 წევრს. აქვს 10 სექცია: ფლორისა და სისტემატიკის, გეობოტან., სპოროვანი მცენარეების, კულტ. ფლორის, მეტყევეობის და დენდროლოგიის, ბოტან. ბაღების, ბუნების დაცვის, პედ., პალინოლოგიის, პროპაგანდის, აგრეთვე 2 განყ-ბა (აფხაზეთის, აჭარის).

საზ-ბის მუშაობას ხელმძღვანელობს ყრილობა, ყრილობათა შორის პერიოდში – საბჭო. საზ-ბა ხელს უწყობს კვლევის კოორდინაციას ბოტანიკოსთა შორის, ბოტან. ინფორმაციის გაცვლას, აგრეთვე ბოტან. მეცნიერების თანამედროვე მიღწევების პოპულარიზაციას მოსახლეობაში. აწყობს რესპ. და საერთაშ. სამეცნ. თათბირებს, სიმპოზიუმებს, კონფერენციებს, საიუბილეო სესიებს; მაგ., ჩატარდა საკავშ. კონფერენცია მაღალმთის ფლორის და მცენარეულობის საკითხებზე (თბილისი, 1961); დენდროლოგთა VIII საერთაშორისო კონგრესი (თბილისი, 1982); საერთაშ. სიმპოზიუმი მაღალმთის ეკოლოგიის საკითხებზე (თბილის – ყაზბეგი, 1977, 1984); საკავშ. თათბირი თემაზე „თესლოვან მცენარეთა მდედრობითი გენერაციული სტრუქტურების განვითარების მორფოლოგიურ-ფუნქციური ასპექტები“ (თელავი, 1984); კავკ. ნაკრძალებისადმი მიძღვნილი საკავშ. ბოტან. საზ-ბის პრეზიდიუმის გამსვლელი სესია (თბილის-ლაგოდეხის ნაკრძალი, 1986); საიუბილეო სესია, მიძღვნილი თბილისის ბოტან. ბაღის დაარსებისადმი (1987, თბილისი); საერთაშ. კონფერენცია ჰოლოცენის პრობლემებზე (თბილისი, 1988). საზ-ბის ბეჭდვითი ორგანოა „საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების მოამბე“.

1958–83 საზ-ბის პრეზიდენტი იყო ნ. კეცხოველი, 1983-იდან – გ. ნახუცრიშვილი.

მ. ივანიშვილი